სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

00801617373621

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N210234065

რეგისტრაციის თარიღი

17.03.2021 წ

ნოტარიუსი: თამარ კობახიძე
მისამართი: ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი №5, ბინა №40
ტელეფონი: 270-48-73

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდაერთი წლის ჩვიდმეტ მარტს, მე ნოტარიუსს თამარ კობახიძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, მოსკოვის გამზ. #5 ბ. 40, მომმართა ბატონმა **ლევან დევნოზაშვილმა**, რომელმაც განაცხადა, რომ არის შპს ''ლამა''-ს (ს/კ 406049636) დირექტორი, თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, ამონაწერის მომზადების თარიღი: B19043363, 15/04/2019) და მინდობილობის ტექსტის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე შევამოწმე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ლევან დევნოზაშვილმა** (დაბადებული 12.02.1975 წ., რეგისტრირებული მისამართზე თბილისი ბერი გაბრიელ სალოსის VII შეს. N 1 ბ. 39, პირადი N 15001000042) მომმართა. მე აგრეთვე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს, შემდეგ წავუკითხე და განვუმარტე მინდობილობაზე ხელის მოწერის სამართლებრივი შედეგები, მან განაცხადა, რომ მინდობილობის ტექსტი ზუსტად გამოხატავს მის ნებასა და სურვილს და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, **ლევან დევნოზაშვილი** (მონაცემები მითითებულია ზემოთ), როგორც შპს ''ლამა''-ს (ს/კ 406049636) დირექტორი, ბატონ **გიორგი ჯუმბურიძეს** (დაბადებული 05.02.1980 წ., პირადი N01030013137), ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებას:

სრულად იმოქმედოს ნებისმიერ უძრავ ქონება(ებ)ზე არქიტექტურული პროექტის შესათანხმებლად, მიიღოს ნებართვები, მათ შორის მშენებლობის ნებართვა, მიღოს სპეც. ნებართვები, აზომოს, გამიჯნოს, გააერთიანოს, დააკორექტიროს, მოახდინოს ცვლილების რეგისტრაცია მარეგისტრირებელ ორგანოში, მიიღოს ამონაწერები.

ამ მიზნით იყოს წარმომადგენელი საქართველოს იუსტიციის სახლში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, მერიაში, გამგეობაში, საკრებულოში, მერიის მუნიციპალურ ინსპექციის სამსახურში, არქიტექტურის სამსახურში, ურბანული დაგეგმარების სამსახურში, ქონების მართვის სააგენტოში, ლეგალიზაციის კომისიაში, აღიარების კომისიაში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, ადმინისტრაციულ ორგანოებთან და სხვა ორგანიზაცია-დაწესებულებებში.

წარადგინოს განცხადებები, მოაწეროს ხელი საჭირო დოკუმენტებს, განაცხადოს თანხმობები, მიიღოს გადაწყვეტილებები, აწარმოოს სამშენებლო და სარემონტო სამუშაოები, შეათანხმოს პროექტები, გამოითხოვოს და მიიღოს დოკუმენტები, გადაავადოს ნებართვები, გადაიხადოს დადგენილი გადასახადები და შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება რაც საჭირო იქნება ზემოაღნიშნული დავალების შესასრულებლად.

წინამდებარე მინდობილობა გაცემულია 1 (ერთი) წლის ვადით და ძალაშია 17.04.2022წ. ჩათვლით.

ეს მინდობილობა შედგენილია ქართულ ენაზე და ხელმოწერილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება ნოტარიუს თამარ კობახიძის სანოტარო ბიუროს არქივში, დანარჩენი გადაეცა მიმნდობ პირს. გადახდილია სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის განკუთვნილი სახელმწიფო, საქართველოს მთავრობის 2011წ. 29 დეკემბრის #507 დადგენილებით დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სახელმწიფოსა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობები, მათი გადახდევინების წესი და მომსახურების ვადები''-ს შესახებ 31-ე მუხლის შესაბამისად 10 (ათი) ლარი და 39 მუხლის შესაბამისად, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური - 2.00 (ორი) ლარი.

ნოტარიუსი თამარ კობახიძე